ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელზე არიან... ფანტაზიორები

გორკში ორი დღის მანძილზე ახალი იდეების ნამდვილი ფეიერვერკი გააჩაღეს საკავშირო პირველობა-კონკურსის მონაწილე ტანმოვარჯიშეებმა. ამგვარ შეჯიბრებაში „მოუსვენარი" ტანმოვარჯიშეები თავიანთი ფანტაზიის ნაყოფს პირველად უჩვენებენ და ხშირად გამოგონებისთვის „პატენტსაც" ღებულობენ. გასულ წლებში ასეთი „პატენტები" ქართველ ტანმოვარჯიშეებსაც მიუღიათ.

და აი, გორკში თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის აღსაზრდელმა, 18 წლის ზ. ამბოკაძემ ლერძზე ახალი ორიგინალური ვარჯიში შეასრულა და მკაცრმა მსაჯებმა მას გამარჯვებასთან ერთად „პირველაღმომჩენის" სახელიც მიაკუთვნეს. ამ წარმატებისთვის ზაურმა შესანიშნავი საბჭოთა ტანმოვარჯიშის ვ. მურატოვის სახელობის გარდამავალი მედალი მიიღო.

ამ ჯილდოს პირველი მფლობელი ვ. მარტინოვი (კუიბიშევი) იყო, ხოლო მეორე — თბილისელი პ. შამუგია. ზაურმა სწორედ პაატასგან მიიღო ესტაფეტა.

სხვათა შორის, თბილისელმა „გამომგონებელმა" თავისუფალ ვარჯიშშიც მიიღო მონაწილეობა და აქ მას მხოლოდ ბრიანსკელმა ი. კუზინმა აჯობა.

ამ წარმატებას ამბოკაძემ თავის აღმზრდელ, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ ო. მიქელაძესთან შვიდი წლის დაუღალავი შრომით მიაღწია.

იმედია, ზაურ ამბოკაძის ოსტატობა და ფანტაზია კიდევ უფრო გაიზრდება.

ა. მუჩიშვილი.

* * *

სურათზე: ზ. ამბოკაძე ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№59 (5089)

1974 წ. 24 მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# შრომა დააფასდათ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა **საპატიო სიგელებით დააჯილდოვა:**

სამამულო ფეხბურთის განვითარებაში დამსახურებისთვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **დ. ცომაია;**

სპორტის პროპაგანდის მიზნით აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გამასწორებელ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი, სამინისტროს კოლეგიის წევრი, შინაგანი სამსახურის ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი **გ. მახარაძე;**

მხატვრული სატელევიზიო ფილმის — „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" — შექმნისთვის — **ლ. ჭელიძე** (სცენარის ავტორი) და **ა. ნინუა** (ფილმის რეჟისორი);

დახურულ დარბაზში ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლისთვის — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ა. მოშიაშვილი;**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ე. გოკიელი** — ა. მოშიაშვილის მომზადებისთვის;

შეჯიბრებებში მრავალი წლის მანძილზე წარმატებით მონაწილეობისთვის, მაღალი სპორტული შედეგებისთვის და მწვრთნელის სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ქ. წაქაძე.**

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვის და 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედლის მოპოვებისთვის — სპორტის ოსტატი **მ. გავა;**

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნ. თვაური** — მ. გავას მომზადებისთვის;

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში მაღალი შედეგებისთვის — სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი **ნ. ალექსანდრია;**

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატი **ბ. გურგენიძე** — ნ. ალექსანდრიას მომზადებისთვის;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა **სიგელებით დააჯილდოვა** მხატვრული სატელევიზიო ფილმის — „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" — დამდგმელი კოლექტივის წევრები: **პ. შნაიდერი** (ოპერატორი), **მ. დარჩიევი** (ხმის ოპერატორი), **ა. შულცი** (მემონტაჟე), **პ. ბარამიძე** (ფილმის დირექტორი), **გ. ლოლობერიძე** (მთავარი როლის შემსრულებელი).

## [illegible]-74

● სოჭი, 22 მარტი. აქ გრძელდება ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრიზზე. დღეს მრბოლელები „გამოცდას აბარებდნენ" ორ ეტაპზე — ასპარეზობდნენ პროგრამის ორ სახეობაში: 20 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში და 70 კმ-ზე გუნდურ შეჯიბრებაში. ინდივიდუალურ ასპარეზობაში გაიმარჯვა სსრ კავშირის მეორე გუნდის წევრმა ს. ჰუსეინოვმა — 31.55. მას წამით ჩამორჩა ი. სკოსირევი. ჯგუფურ რბოლაში გაიმარჯვა „დინამოს" წევრმა ი. კრავჩენკომ. სამი ეტაპის შემდეგ ლიდერობს ს. სინიცინი (სსრ კავშირი III). მას სულ 15 წამით ჩამორჩება პირველ ეტაპზე გამარჯვებული ა. ტიხონოვი (სსრ კავშირი I).

# „დინამო" და 31-ე სკოლა

ქუთაისის „დინამოს" და ღოსააფის ტირებში დამთავრდა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საქალაქო პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში.

მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა სროლაში ქალთა შორის იმარჯვა პირველთანრიგოსანმა ნ. სობოლევამ („დინამო") — 560 ქულა. სტანდარტზე 3×20 სროლაში I ადგილი დაიკავა ლ. ენუქიძემ („დინამო") — 547 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 და 50 მეტრზე ასპარეზობაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ლ. შარაშენიძემ („განთიადი") — 256 და 572 ქულა შესაბამისად.

ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა სროლაში უძლიერესი აღმოჩნდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი თ. სვანიძე — 577 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე შეჯიბრება მოიგო პირველთანრიგოსანმა შ. ჩიკაშუამ („განთიადი") — 527 ქულა.

25 მეტრზე სწრაფსროლაში 586 ქულით I ადგილი დაიკავა ლ. გეგეშიძემ („დინამო"). მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

გუნდების გამოყვანა ვერ შეძლეს განათლების განყოფილებამ, „ლოკომოტივმა" და „შრომითმა რეზერვებმა".

გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა „დინამომ", II — „განთიადმა", III — „სპარტაკმა".

* * *

ჩატარდა ქუთაისის ახალბედა მშვილდოსანთა პირად-გუნდური ტურნირის მეორე ტური. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები.

გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა 21-ე სკოლის გუნდმა. ჭაბუკებში ყველას აჯობეს 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმო 31-ე სკოლამ.

ლ. ფაჩუაშვილი. (ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## რამდენიმე სტრიქონით

✦ გორი

რაიონის ქალთა სპარტაკიადის პროგრამაში ოთხი სახეობა შედიოდა. ყველა სახეობაში გამარჯვება გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

ე. კოშკაძე, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

## ოსანაძე ნაკრების კანდიდატია

საქართველოს ქვემსუბუქი წონის საუკეთესო ძალოსანთა შარშანდელ სიაში ბათუმელი კოლმეურნე სპორტსმენი, 28 წლის ასლან ოსანაძე მსოფლიო ჩემპიონ დ. შანიძის შემდეგ II ადგილზეა. მისი საუკეთესო მაჩვენებელი ორჭიდში 232,5 კილოგრამს უდრის.

ახლახან ნიჭიერმა ათლეტმა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თასის გათამაშებაში (ვილნიუსი) კოლმეურნე ძალოსანთა საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 110 კგ. ორჭიდის ჯამში მან 240 კგ დააგროვა. ამ მაჩვენებლებით ოსანაძე სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი გახდა.

## რკინიგზელი „კლასიკოსების" წარმატება

ამ დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზელ სპორტსმენთა მატიანეში კიდევ ერთი თვალსაჩინო ფურცელი ჩაიწერა: თბილისელებმა გ. ჭელიძემ და ო. ტატიშვილმა ვიტებსკის ხალიჩაზე საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს კლასიკურ ჭიდაობაში.

როგორც უკვე ვწერდით, ორივე ათლეტმა თანაგუნდელ ე. ლუდუშაურთან ერთად სსრ კავშირის რკინიგზელ სპორტსმენთა ფინალურ ასპარეზობაში მოიპოვა ვიტებსკის შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება. ლუდუშაური ვიტებსკში ტრავმის გამო არ გამოსულა, ტატიშვილი და ჭელიძე კი წარმატებით განაგრძობენ წინსვლას. ახლა ისინი საკავშირო პროფსაბჭოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ სსრ კავშირის პირველობაში, რომელიც აპრილში ჩატარდება რიგაში.

თ. თენგოშვილი.

# „ოქროს შაიბა" 10 წლისაა

23-დან 30 მარტამდე იაროსლავლსა და პროკოპიევსკში ჩატარდება ფინალური ტურნირები, რომლებშიც ნორჩი ჰოკეისტები ეს უკვე მეათედ იასპარეზებენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზისთვის „ოქროს შაიბა".

— შეჯიბრების ორგანიზატორები გულთბილ შეხვედრას უმზადებენ მონაწილეებს, — თქვა 19 მარტს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ეფიმენკომ. — თითოეული ფინალისტი სამახსოვროდ მიიღებს ყვანჯსა და სამკერდე ნიშანს „ოქროს შაიბა". დაწესებულია, აგრეთვე, სპეციალური პრიზები საუკეთესო ნორჩი ჰოკეისტებისთვის. ბავშვებისთვის მოეწყობა საინტერესო ექსკურსიები, შეხვედრები შრომისა და სპორტის ვეტერანებთან. ნორჩ სპორტსმენებს ვარჯიშში დაეხმარებიან მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონები ა. ფირსოვი, ვ. სტარშინოვი და ა. რაგულინი. სახელგანთქმული ჰოკეისტები რამდენიმე მატჩში იმსაჯებენ.

წლევანდელ სეზონში პატარებს ბევრი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ. მაგალითად, უდმურტეთის ნორჩი ჰოკეისტები იყვნენ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც თანატოლებს შეხვდნენ და მშვენივრად ითამაშეს.

ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში კლუბის შეჯიბრებები ზამთრის სპარტაკიადების პროგრამაში შევიდა. სეზონის განმავლობაში ათი ათასობით ნორჩმა ჰოკეისტმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები „ზამთრის საგხემში". მურმანსკში ჩატარდა შეჯიბრებები „პირველი ყინული", „საახალწლო პრიზი", „ზუსტი ყვანჯი".

23-დან 30 მარტამდე ინტასა და პეჩორაში (კომის ასსრ) ასევე მოეწყობა ფინალური შეჯიბრებები საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე „დაწნული ბურთი".

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ათ სახეობაში

აბაშაში მიმდინარეობს მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადა ათ სახეობაში. შეჯიბრებები უკვე დაამთავრეს კალათბურთელებმა, მოჭადრაკეებმა და მოშაშეებმა.

საშუალო სკოლების კალათბურთელთა შეჯიბრებაში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს მარნეულებმა, ხოლო გოგონათა ტურნირში ყველას აჯობა აბაშის 1-ლი სკოლის გუნდმა.

ჭადრაკში ყველას აჯობეს პირველი მაისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. პირად პირველობაში გოგონებს შორის საუკეთესო იყო მ. პერტენავა (ონტოფო), ხოლო ჭაბუკებში — ვ. გოგიშვილი.

მოშაშეთა შეჯიბრებაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ონტოფოს სკოლის წარმომადგენლები. პირად პირველობაში გოგონებს შორის გაიმარჯვა ლ. თოფურიამ (აბაშის მე-2 საშუალო სკოლა), ჭაბუკებში — თ. ესიავამ (ონტოფოს საშუალო სკოლა).

რვაწლიანი სკოლების მოჭადრაკე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს ნოღოხაშელმა მოსწავლეებმა. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ: გოგონებში — ც. ცომაია (ეწერი), ჭაბუკებში — შ. ბოკუჩავა (ნოღოხაში).

**რ. ჭანტურია.**
**(ჩვენი კორ.).**

აბაშა.




# მასობრივი სტარტი

ფოთის გეგეჭკორის სახელობის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის პირველობაში 500 კროსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო სხვადასხვა მანძილზე რბენა. ბევრმა მოსწავლემ მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა. ასპარეზობის შემდეგ დაკომპლექტდა ტექნიკუმის ნაკრები, რომელიც საქალაქო საგაზაფხულო მძლეოსნურ კროსში იასპარეზებს.

**დ. მალანია,**
**ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

* * *

**სურათზე: 1500 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის გამარჯვებული ნ. ნოდია ფინიშთან.**




# ორი სპორტსმენის ხუთი საპრიზო ადგილი

### ჩვენი ბადმინტონისტების წარმატება

ხარკოვში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მოზარდთა პირველობა ბადმინტონში. საქართველოს გუნდმა ბათუმელი მ. მამინაშვილისა და სოხუმელი გ. ნერსესიანის შემადგენლობით უკან ჩამოიტოვა მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინისა და სხვა გუნდები, რის წყალობითაც საერთო II ადგილი დაიკავა.

ჩვენი სპორტსმენები პირად პირველობაშიც კარგად გამოვიდნენ. გ. ნერსესიანმა წყვილთა შეჯიბრებაში ბაქოელ კოლეგასთან ერთად II ადგილი დაიკავა. ასევე მეორე იყო იგი მ. მამინაშვილთან ერთად შერეულ წყვილთა ტურნირში.

მამინაშვილი გოგონათა წყვილების ასპარეზობაში ბაქოელ სპორტსმენთან ერთად გამოდიოდა და II ადგილი დაისაკუთრა, ერთეულთა შეჯიბრებაში კი III ადგილზე გავიდა.

**ი. ზელიმოვი,**
**გუნდის მწვრთნელი.**

# [illegible]

### ზუგდიდი

კომკავშირისა და დოსაafის საქალაქო კომიტეტებმა ჩაატარეს პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. გამარჯვება ენგურჰესის მთავარი სამმართველოს ნაკრებმა მოიპოვა. ვაჟებში ყველას აჯობა ბ. გულორდავამ (მე-2 სკოლა), ქალებში — ლ. სტეფანოვამ (მე-10 სკოლა).

**ბ. ალშიბაია.**

### თელავი

რაიონის ქალთა სპარტაკიადაში „სპარტაკის", „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნისა" და განათლების განყოფილების გუნდები ერთმანეთს შვიდ სახეობაში ეჯიბრებოდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას მოსწავლეებმა აჯობეს. II ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკმა", III — „სპარტაკმა".

* * *

მაგიდის ჩოგბურთში რაიონული თასის გათამაშება მოიგო „სპარტაკის" ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ი. ვაყელიშვილი, დ. შარაშიძე, მ. ალადაშვილი და მ. ლობჟანიძე.

* * *

რაიონის პიონერთა შეჯიბრებაში — „შაში—სასწაული" — თელავის რუსული სკოლის გუნდმა გაიმარჯვა.

* * *

პიონერთა სასახლეში ჩატარდა გოგონათა რაიონული პირველობა ჭადრაკში. გაიმარჯვა ქალაქის მე-6 სკოლის მეცხრეკლასელმა მოსწავლემ მ. ქურციკაშვილმა.

**გ. ელიოზიშვილი.**

### გულრიფში

რაიონის მოსწავლეთა პირველობა ტყვიის სროლაში დრანდის რუსული საშუალო სკოლის კოლექტივმა მოიგო. გოგონებში უძლიერესი იყო ვ. ლუქავა, ჭაბუკებში — ა. ხარჩილავა (ორივე — დრანდა).

**შ. ჯალალონია.**



... 50-მეტრიანი დახურული აუზის კედელს საწყალოსნო თხილამურებით „შეიარაღებული" სპორტსმენი მოსწყდა, მოკლე, 25-მეტრიანი მანძილი გაიარა, ოდნავ შესამჩნევ მოცურავე ტრამპლინზე ბიძგი გააკეთა და 10 მეტრზე იფრინა. იგი მხოლოდ აუზის მეორე ნაპირზე დაეშვა წყალზე.

... წყალმოთხილამურეს ხელში ჩვეულებრივი საბუქსირო გვარლი უჭირავს, ხოლო კატარღას ცვლის ჯალამბრები სისწრაფის ავტომატური კონტროლისთვის, აგრეთვე, სტარტის ადგილზე გვარლის დასაბრუნებლად.

ქალაქ დუბნის საცურაო აუზ „არქიმედში" რვა ბილიკიდან სამი წყალმოთხილამურეთა განკარგულებაშია. ახლა მათ მთელი წლის მანძილზე შეუძლიათ ვარჯიში. აუზში შეიძლება ნებისმიერი სირთულის ფიგურების შესწავლა, მინიატურული, 30-სანტიმეტრიანი ტრამპლინიდან 10-12 მეტრზე ხტომა. აქვე შეუძლიათ მეცადინეობა ახალბედებსაც.

ჯალამბრის კონსტრუქცია და ბუქსირების სისტემა დაამუშავეს დუბნელმა მწვრთნელებმა, სპორტის ოსტატმა ვალერი ნეხაევსკიმ და მისმა ძმამ, რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა იურიმ. ჯალამბარი წარმოადგენს ჩარჩოს, რომელზეც დამაგრებულია ელექტროძრავა ფაზური როტორით, გამწევი დოლი გვარლის საკეცით, ელექტრომუხრუჭი, აგრეთვე, სისწრაფის (80 კმ-მდე საათში) საკონტროლო და მარეგულირებელი ბლოკი.

* * *

**სურათზე:** რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი ი. ნეხაევსკი (მარცხნივ) და სპორტის ოსტატი ვ. ნეხაევსკი ამოწმებენ სპორტსმენის ნახტომის კინოგრაფიკს; ერთ-ერთ რთულ ელემენტს — ნახტომს ხელოვნური ტალღიდან 360-გრადუსიანი „ტრიალით" — გვიჩვენებს პირველი შემსრულებელი, სპორტის ოსტატი, ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის ცენტრალური ექსპერიმენტული სახელოსნოების ზეინკალი ს. ოსიპენკო.

ი. თუმანოვის ფოტოები (საკდესი).

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

# სპორტული ტექნიკუმი

ხაკასის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენთა „ნადავლს" კიდევ ერთი ჯილდო მიემატა: ამჯერად თავი გამოიჩინა ბურთიანი ჰოკეის ოსტატთა გუნდმა, რომელმაც ყველას აჯობა აბაკანში „უროჟაის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე გამართულ ფინალურ შეჯიბრებაში. მასპინძლებმა პირველად მოიპოვეს რუსეთის ჩემპიონობა სოფლის სპორტსმენთა შორის.

მომავალი აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მელიორატორები და მშენებლები ტექნიკუმში კარგ ფიზიკურ მომზადებას ღებულობენ. 1200 მოსწავლიდან 835 სხვადასხვა სპორტულ სექციაში მეცადინეობს (სულ 15 სექცია მუშაობს). კალათბურთელთა გუნდმა ყველას აჯობა ციმბირის ზონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებს შორის, კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა შარშან „უროჟაის" სამხარეო საბჭოს თასი მოიპოვეს, ხოლო მერე ყველას აჯობეს რუსეთის ჭაბუკთა შეჯიბრებაში. წლეულს, როცა გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, ტექნიკუმის მოსწავლემ გ. ტიგლიმაევმა ჩემპიონის სახელი დაიმსახურა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ა. ნოსკოვმა ბრინჯაოს ჯილდო მიიღო.

აგერ უკვე მეექვსე წელია ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივი I ადგილზეა სპორტულ მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სამხარეო დათვალიერება-კონკურსებში. მარტო შარშან ამ ტექნიკუმში მოამზადა 5 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი, 420-ზე მეტი თანრიგოსანი, 133 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 350 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

ტექნიკუმში სპორტში მეცადინეობისთვის საუცხოო პირობებია შექმნილი. მოსწავლეთა განკარგულებაშია სტადიონი და სამი სპორტული დარბაზი.

**ი. მალენკო.**
**(საკდესის კორ.).**

აბაკანი.

# სტუდენტები ამხნევებდნენ თავიანთ... მასწავლებლებს

სპორტდარბაზიდან ენით აუწერელი ჟრიამული ისმის. დარბაზს საზეიმო ელფერი დაჰკრავს. მაყურებელთათვის განკუთვნილი ადგილი სავსეა გოგონებით. სარბიელზე გამოდიან სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ქალები და კაცები, რომელთა ასაკი და „გაბარიტები" აშკარად... არასპორტულია. გულშემატკივარი გოგონები თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ისინი შეძახილებით ამხნევებენ თავიანთ... პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა რიცხვი 60-ზე მეტია. მოასპარეზენი აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, სამედიცინო ბურთის ტყორცნაში, იატაკიდან ტანის აზიდვაში...

მონაწილეთა შორის „უხუცესია" 58 წლის უფროსი მასწავლებელი ე. ფანიაშვილი.

ასპარეზობის დაწყებამდე ინსტიტუტის ათ პროფესორსა და მასწავლებელს საზეიმო ვითარებაში გადასცეს მშდ კომპლექსის ოქროს და ვერცხლის სამკერდე ნიშნები, რომლებიც მათ შარშან მოიპოვეს. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ვ. ახალაია, დაბავლეთ ევროპის ისტორიის მასწავლებელი რ. სიკინჭალაშვილი, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლები ზ. მეგრელიშვილი, გ. ჭყონია, ვ. ჯანჯალია.

... თავისი სტუდენტების შეძახილებით გამხნევებულ გერმანული ენის ფაკულტეტის ლაბორანტს ა. გელოვანს სამედიცინო ბურთის სატყორცნელად სარბიელი არ ეყო. ბურთის ფრენა 17,60 მეტრზე შეაჩერა..., დარბაზის კედელმა.

გელოვანის კოლეგებს მ. და ვ. აბულეძიანებს ინსტიტუტში კარგ მომღერლებად იცნობენ — ისინი ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლში მღერიან. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებში დებს ბადალი არც სამედიცინო ბურთის ტყორცნაში ჰყოლიათ.

გამარჯვებულებს, როგორც „ნამდვილ" შეჯიბრებაში, საპატიო კვარცხლბეკზე აყენებდნენ და აჯილდოებდნენ... შოკოლადის მედლებით.

შეჯიბრების შემდეგ ინგლისური ენის ფაკულტეტის დეკანს ნ. კრავეიშვილს დიდი ზარ-ზეიმით გადასცეს თასი გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის. II ადგილი დაიკავეს გერმანული, ხოლო III — ფრანგული ენების ფაკულტეტების წარმომადგენლებმა.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში ნორმატივები ინსტიტუტის 50-ზე მეტმა თანამშრომელმა ჩააბარა.

შეჯიბრების შემდეგ გულშემატკივრები და პროფესორ-მასწავლებლები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად — აუდიტორიებში, ლექციებზე.

ა. ბურასაშვილი.

* * *

სურათზე: სარბიელზეა ინსტიტუტის დისპეტჩერი გ. ჭიპაშვილი.

ზ. ზარგარიანის ფოტო.



# ყოჩაღ, ბათუმელო ჭაბუკებო!

**გამარჯვება 25 წლის შემდეგ ● ცურვიდან წყალბურთზე ● გადაუჭრელი პრობლემა ● ჩემპიონთა აღმზრდელს — მადლობაც და საყვედურიც**

ისინი სიხარულით თვალგაბრწყინებული იდგნენ გაჩახჩახებული საცურაო აუზის თაღქვეშ და მორცხვად იღებდნენ გულითად მილოცვებს. ეს წუთები სპორტში მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია. ამისთვის დიდხანს, უფრო სწორად, საუკუნის მეოთხედის მანძილზე იბრძოდნენ ბათუმელი წყალბურთელები. და აი, აჭარის წარმომადგენლებმა მიზანს 25 წლის შემდეგ მიაღწიეს — კვლავ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

— ამ საპატიო გამარჯვებით დიდი პატივი გხვდათ წილად. ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო პირველობაში თქვენ უნდა დაიცვათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება, — მიმართა ჩემპიონებს იმ საზეიმო წუთებში წყალბურთში, ცურვასა და წყალში ხტომაში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. გოიაშვილმა.

ჭაბუკ წყალბურთელთა წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში იოლი როდი იყო გამარჯვების მოპოვება. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში, ბათუმის „განთიადის" წყალბურთელთა გუნდის გარდა, თბილისის „დინამოს", „ლოკომოტივისა" და განათლების განყოფილების, ქუთაისის „განთიადისა" და სოხუმის განათლების განყოფილების ნაკრები კოლექტივებიც იბრძოდნენ საპატიო წოდებისთვის.

ბათუმელმა ჭაბუკებმა უაღრესად რაციონალურად, გააზრებულად წარმართეს ყველა შეხვედრა, ერთნაირი ანგარიშით (7:3) სძლიეს თბილისისა და სოხუმის განათლების განყოფილების გუნდებს, დაამარცხეს თბილისელი რკინიგზელები (9:5), ქუთაისის განთიადელები (7:1) და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ (5:5) თბილისის დინამოელებთან.

გუნდის ყველა წევრი თავდაუზოგავად იბრძოდა მიზნის მისაღწევად. ამიტომ არ გვინდა ამ შესანიშნავი კოლექტივიდან რომელიმე გამოვყოთ. გუნდის წევრები თანაბრად იმსახურებენ ქებას იმისთვის, რომ სპეციალისტებმა ისინი დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდებად მიიჩნიეს, და იმისთვისაც, რომ თავიანთ ქალაქში კარგი სპორტული ტრადიციების აღდგენის მოთავენი არიან (მხედველობაში გვაქვს წარსულში ბათუმელ წყალბურთელთა დიდი წარმატებები).

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონს გამოცდილი და უნარიანი სპეციალისტი კ. მამჩინი უდგას სათავეში. მამჩინს დიდ დახმარებას უწევს წარსულში ცნობილი წყალბურთელი გ. კალანდაძე, რომელიც ამჟამად „განთიადის" საწყლოსნო სადგურის უფროსად მუშაობს და წყალბურთელებისთვის მუდამ ღია აქვს საცურაო აუზის კარი. გუნდის წლევანდელ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის, აგრეთვე, აჭარის სპორტკომიტეტს (თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე), მაგრამ ეს მუშაობის ორგანიზაციული მხარეა. მთავარი ის გახლავთ, რომ მეგობრულმა კოლექტივმა ჯერ კიდევ შარშან დაისახა მიზნად წარმატებით გაეცა პასუხი ამ ზრუნვისთვის, აიღო სოციალისტური ვალდებულებები და დადო ფიცი, რომ სამაგალითო იქნებოდა სწავლასა და სპორტში.

— ბათუმის წყალბურთელთა გუნდის მესვეურებმა ერთ მეტად საინტერესო გზას მიმართეს — გუნდი ძირითადად ყოფილი მოცურავეებით დააკომპლექტეს. ბიჭებმა წყალბურთი მალე შეიყვარეს და მიზანსაც ადვილად მიაღწიეს, — გვითხრა ვ. გოიაშვილმა.

ფაქტია, რომ წყალბურთელთა „აქილევსის ქუსლი" უმეტესად სწრაფი ცურვაა. ბათუმელი ჭაბუკები კარგ თამაშთან ერთად მეტოქეს ცურვაშიც სჯობნიდნენ. ერთი სიტყვით, ამ გზამ იმედი გაამართლა. კარგი მაგალითი სხვა გუნდებმაც უნდა გადაიღონ. თუმცა ესეც კია: ყველგან გვაქვს თუნდაც ცურვის შესწავლისთვის საჭირო პირობები? რა თქმა უნდა, არა. სწორედ წყლის პრობლემაა მიზეზი, რომ ამ შეჯიბრებაში სუსტად იასპარეზეს ქუთაისელმა და სოხუმელმა სპორტსმენებმა. დიდი ტრადიციებისა და გამოცდილების მქონე თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა არასახარბიელო IV ადგილი დაიკავა. ეს იმის ლოგიკური შედეგია, რომ ათი თვეა უმოქმედოდაა ამ სპორტული სკოლის საცურაო აუზი. აქვე გვინდა ქებით მოვიხსენიოთ თბილისის „დინამოს" (მწვრთნელი გ. მეგედი) და „ლოკომოტივის" (მწვრთნელი ლ. კრილოვი) კოლექტივები, რომლებმაც ამ ასპარეზობაში შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. მაგრამ ზოგიერთი გუნდის მწვრთნელებმა მკაცრი გაფრთხილება მიიღეს უდისციპლინობისთვის. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდნენ ჩემპიონთა აღმზრდელი კ. მამჩინიც და სოხუმელი მწვრთნელი კ. გრიგორიევიც.

თ. ბაჩეჩილაძე.

# ვის უღიმის ბედი?

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩების დაწყებამდე

10 აპრილს ლენინგრადში და 12 აპრილს ოდესაში იწყება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. ვის გაუღიმებს ბედი, პირველი ვინ მოიპოვებს ოთხ გამარჯვებას?

ამ „ოთხუცნობიან განტოლებაზე" რომ ვფიქრობდი, იძულებული გავხდი ხელი ამეღო მხარეთა შანსების შეფასებაზე წინა შეხვედრათა შედეგების შედარების გზით. ასეთი არგუმენტაცია კაპაბლანკას და ალიოხინის მატჩშიც (ბუენოს-აირესი, 1927 წ.) კი მცდარი აღმოჩნდა. ამ ხერხმა ფიასკო განიცადა ტ. პეტროსიანისა და ლ. პორტიშის ამასწინანდელ შეუპოვარ ორთაბრძოლაშიც.

მინდა ახლავე ხაზგასმით აღვნიშნო: 1965 წლიდან არ მომხდარა, რომ ოთხივე საბჭოთა მოჭადრაკე მსოფლიო პირველობის კანდიდატთა შეჯიბრების ნახევარფინალში გასულიყოს. ეს ნიშნავს, რომ რ. ფიშერთან შეხვედრა ერთ-ერთ მათგანს მოუწევს, მაგრამ სწორედ ამან უაღრესად გაურთულა პროგნოზები ექსპერტებს. გასაგებიცაა: ტიგრან პეტროსიანი, ბორის სპასკი, ვიქტორ კორჩნოი და ანატოლი კარპოვი თანაბარი ძალის „უშიშარი რაინდები" არიან.

გარდა ამისა, ჯერჯერობით არც კრიტერიუმები არსებობს მათ შორის უძლიერესის დასასახელებლად. ეს პრობლემა ვერც ესოდენ პოპულარულმა ელექტროგამომთვლელმა მანქანამ გადაჭრა (სხვათა შორის, მისი პასუხები მოჭადრაკეთა მოწყალე ღიმილს იწვევს). ამ „განტოლების" სწორად ამოსახსნელად უნდა გავითვალისწინოთ სამი ფაქტორი: მეტოქეთა თამაშის სტილი, მათი შემოქმედებითი გამოცდილება და შესაბამისი ფსიქოლოგიური კომპონენტები.

სტილი მოჭადრაკის კრედოა, ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გაგების სიღრმე. ჭადრაკის საბჭოური სკოლის წარმომადგენლობა ნიშნავს მზადების სისტემისა და პრინციპული დებულებების სიახლოვეს. აქ მთავარი ხდება ახლის ძიება, შედეგებისთვის ბრძოლისა და საჭადრაკო პარტიის შინაარსის შერწყმა. მაგრამ სადებიუტო სქემების არჩევაში, პოზიციის შეფასებაში და ბრძოლის დამამთავრებელ ხერხებში ყოველი დიდოსტატი ინდივიდუალურ ხელწერას ინარჩუნებს.

დავიწყოთ პეტროსიანით. მისი დახვეწილი პოზიციური აზროვნება ბევრი ახალგაზრდა ოსტატისთვის შურის საგნად იქცა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ბადალი არ ჰყავს მოახლოებული საფრთხის გრძნობაში, „მეტოქის ძალთა მოძრაობის შეზღუდვის" უნარში. ამას დაუმატეთ ფილიგრანული ტექნიკა და უდიდესი სპორტული გამოცდილება, რაც განმტკიცებულია სამატჩო შეხვედრებით მ. ბოტვინიკთან, ბ. სპასკისთან, რ. ფიშერთან, რ. ჰიუბნერთან, ლ. პოლუგაევსკისთან და ლ. პორტიშთან. უნგრელ დიდოსტატთან გადამწყვეტ პარტიაში პეტროსიანმა ნათლად გამოავლინა მტკიცე ნებისყოფა და კრიტიკულ სიტუაციათა ზუსტად შეფასების უნარი.

კორჩნოი თავისი კრედოს მიხედვით სრულიად განსხვავდება პეტროსიანისგან. იყო დრო, იგი მკაცრად აკრიტიკებდა მ. ტალს ზედმეტად „შემწირავი" სტილისთვის, მაგრამ თავად კორჩნოის არათუ არ ეშინია მწვავე, დახლართული პოზიციებისა, არამედ გაბედულად მიიწევს მათს შესახვედრად.

დავასახელოთ თუნდაც მის მიერ ლამაზად მოგებული პარტია ბ. ლარსენთან ლენინგრადის საზონათშორისო ტურნირში. „დაუოკებელი" კორჩნოი თავის ბრწყინვალე სატურნირო გამარჯვებებს უნდა უმადლოდეს სიმამაცეს, თავისი ჩანაფიქრის ფართო მასშტაბებს და, შეიძლება ითქვას, „სპორტულ სიბრაზეს". ამასთან, მას შეუძლია კარგად გამოიყენოს მოვლენათა შეცვლა ქარიშხლისებური გართულებებიდან „წყნარი" თამაშისკენ, რომელიც მეტოქის სიფრთხილეს ადუნებს.

როცა პარტნიორის შესაძლებლობებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არაფერი ითქვას მათს ასაკზე. პეტროსიანი 44 წლისაა, კორჩნოი — ორი წლით უმცროსი. ამ ასაკში შეუდარებელი მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინიც კი უკვე იძულებული იყო ანგარიში გაეწია თამაშის მეხუთე საათზე საცაიტნოტო „რიფებისთვის".

უნდა მოვიხსენიოთ თვით პრეტენდენტთა პროგნოზები. კორჩნოიმ აშკარად გვაგრძნობინა, ფინალში გასვლას ვეცდებიო. პეტროსიანმა კი ერთხელ, თითქოს შემთხვევით, მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის კანდიდატად ლენინგრადის მატჩში გამარჯვებული დაასახელა...

სპასკის ბიოგრაფია ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მან საბჭოთა მოჭადრაკეებიდან პირველმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჭაბუკებს შორის (1955 წ.) და უკვე 18 წლისა მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტი იყო. მისმა ახალგაზრდობამ, უნივერსალურმა სტილმა, ინტუიციურმა მხატვრულმა ოსტატობამ და, რასაკვირველია, შთამბეჭდავმა გამარჯვებებმა სამატჩო ბატალიებში პ. კერესთან, ე. გელერთან (ორჯერ), მ. ტალთან, ვ. კორჩნოისთან, ბ. ლარსენთან მთელი საჭადრაკო სამყარო აალაპარაკა. სხვადასხვა ენაზე გამოვიდა ახალგაზრდა დიდოსტატისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, ხოლო საზღვარგარეთ აქა-იქ მისი სახელობის საჭადრაკო კლუბებიც კი გაჩნდა (ტრადიციისამებრ), როცა მან გვირგვინი მოიპოვა.

მაგრამ რეიკიავიკში დამარცხებამ (1972 წ.), რასაც გვირგვინის დაკარგვა მოჰყვა, დააღონა სპასკის გულშემატკივრები და გამოიწვია „ფასეულობათა გადაფასება" სპეციალისტთა მთელ რიგ სტატიებში.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა საჭადრაკო ოლიმპზე მეორედ ასვლა? ეს შეძლეს ალიოხინმა მ. ეივესთან გამართულ მატჩ-რევანშში (1937 წ.) და ბოტვინიკმა — ორჯერ, ჯერ ვ. სმისლოვთან (1958 წ.), მერე კი მ. ტალთან (1961 წ.) ბრძოლაში. სწორედ ეს პრობლემა აქვს გადასაჭრელი 37 წლის სპასკის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს. ქვეყნის პირველობის შემდეგ, სადაც სპასკიმ ფიშერთან მატჩის ოთხივე პრეტენდენტი დაამარცხა, მის გულშემატკივრებს კვლავ მიეცათ იმედი. მაგრამ გაუღიმებს თუ არა ექს-ჩემპიონს ქალღმერთი კაისა?

სპეციალისტთა აზრით, სპასკიმ შედარებით იოლად დაამარცხა ამერიკელი რ. ბირნი, ამავე შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი მაღალი ოსტატობა და უწინდელი სპორტული ფორმის დაბრუნება. ამასთან, ეჭვი არ არის, რომ 22 წლის კარპოვთან შეხვედრა მოითხოვს შემოქმედებითი ძალების უფრო მნიშვნელოვან აღმავლობას, უფრო ეფექტურ მზადებას და კვლევითს მუშაობას წინასაშეჯიბრებო პერიოდში.

მე კარპოვი გავიცანი, როცა ჯერ კიდევ მოსწავლე იყო. მას მხნეობა შთაბერა ჭადრაკისადმი სიყვარულმა, რომელიც მშობლებისგან გადაეცა მემკვიდრეობით (მაშინ ისინი ზლატოუსტში ცხოვრობდნენ). წარმატებას ისიც ხელს უწყობდა, რომ ანატოლი ოსტატობის კანდიდატი გახდა იმ ასაკში, როცა მისი ტოლები ჯერ კიდევ ხეებზე ცოცვას ამჯობინებდნენ. საკუთარი ძალის რწმენა და თითქმის უშეცდომო თამაში, რითაც დღეს გამოირჩევა დიდოსტატი კარპოვი, ჩემი აზრით, იქიდან მომდინარეობს, რომ ჭადრაკი მისი „მშობლიური ენაა", რომ იგი ამ ენას ბავშვობიდანვე მიეჩვია.

კარპოვის შემოქმედება მრავალმხრივია. დიდი ტალანტი ანაზღაურებს მის ჯერ კიდევ ნაკლებ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მისი სტილისთვის დამახასიათებელი პოზიციური თამაში გარეგნული ეფექტების გარეშე, როგორც ჩანს, ტაქტიკის წინაშე სტრატეგიის უპირატესობით აიხსნება, ხოლო საუცხოო მეხსიერებისა და თანამედროვე დებიუტის სფეროში ღრმა ცოდნის წყალობით კარპოვი აღწევს აქტიურ პოზიციებს როგორც ღია, ისე დახურულ დაწყებებში.

განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს კარპოვის ფსიქოლოგიური ოსტატობა ერთი შეხედვით უნუგეშო პოზიციის დაცვის დროს და თავშეკავება, რომელსაც ახალგაზრდა დიდოსტატი დროის დეფიციტისას იჩენს. შეიძლება სწორედ ამ იშვიათ ნიჭში უნდა ვეძიოთ ახალი ტექნიკის ფესვები, უფრო სრულყოფილი ტექნიკისა, ვიდრე ბოლო ათწლეულების პარტიებში გვინახავს. შემთხვევითი არც ისაა, რომ ფიშერმა კარპოვი სამ თავის ყველაზე მეტად მოსალოდნელ მეტოქეს შორის დაასახელა.

რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს ნახევარფინალური მატჩები, ერთი რამ უდავოა: ამ გაზაფხულზე საჭადრაკო ხელოვნების მოყვარულები დრამატული, აჩაღელვებელი ბრძოლის მოწმენი გახდებიან.

ი. რობლინი,
საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 3 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ნ. ერემაძის (თბილისი) ამოცანა, ჯ. მაწონაშვილის (ქუთაისი) ეტიუდი და რ. თავარიანის (თბილისი) შარადა სწორად ამოხსნეს: ა. იორამაშვილმა (გორი), ვ. ჭუმბურიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზედა სიმონეთი), ტ. და ო. მამულაშვილებმა, რ. ელუაშვილმა, რ. იოსავამ (ყველა — თბილისი), გ. ლაზიშვილმა (ბათუმი), პ. ხარატიშვილმა (რუსთავი), თ. ბაძაღუამ (გეგეჭკორის რაიონი, სოფ. ნახუნაო) და ა. წვერიანაშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. ახალსოფელი).

ამოცანის ამოხსნა: 1. ეა1 მფ:a1 2. მფc2; 1. ... მფc3 2. ეb1. ეტიუდის ამოხსნა: 1. მe8 მc7 (1. ... მ:f8 2. g7 მოგებით. 1. ... a3 2. g7 მ:g7 3. მძ6 მოგებით) 2. მ:c7 a3 3. მe8 a2 4. g7 a1ლ 5. g8მ×. შარადის ამოხსნა: 1. ძმა, რის შემდეგ პატი იქმნება და გამოდის ქართული კერძის სახელი — კუპატი.



# 26 მარტს კარაკასში...

## ამერიკა მოუთმენლად ელის ფორმენ—ნორტონის შეხვედრას

ამრიგად, ალი — ფრეზიერის ამასწინანდელი შეხვედრისას ჩვენ უკვე მეორე „საუკუნის მატჩი" ვიხილეთ. სიტყვამ მოიტანა და ვიწდა კითხვით მივმართო ყველას: პოლონეთის პრესაში მუჰამედ ალის რატომ ეძახიან კასიუს კლეის? ეს მაშინ, როცა ამერიკაში და მთელს მსოფლიოშიც მას უკვე დიდი ხანია ალის სახელით იცნობენ. სხვათა შორის, თვით ალისაც ძალიან არ მოსწონს, როცა კასიუს კლეის ეძახიან...

26 მარტს ჩვენ ვნახავთ არანაკლებ საინტერესო ბრძოლას მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის პროფესიული კრივის დღევანდელ ვარსკვლავებს — ჯორჯ ფორმენსა და კენ ნორტონს შორის.

მაგრამ, სანამ ფორმენ — ნორტონის მომავალი შეხვედრის შესახებ გიამბობდეთ, მინდა ისევ დავუბრუნდე ალი — ფრეზიერის მატჩს და საერთოდ ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ, რა ისმის ახალი მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შესახებ. ალი — ფრეზიერის მატჩი ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ჩატარდა. აქ არ შევეხები ბილეთების არნახულ ფასებს და, საერთოდ, შეხვედრის ფინანსურ მხარეს, პოლიციას, ჰიპებს და ათას სხვა რამეს, რაც თან სდევს მძიმე წონის პროფესიონალთა ყოველ „დიდ ბრძოლას", დავუმატებ მხოლოდ, რომ იმ ორშაბათ საღამოს და ღამით მთელს ამერიკას გადაავიწყდა საწვავის დროებითი კრიზისი. ქვეყანა გაიყო ორ ბანაკად: ალისა და ფრეზიერის ბანაკებად. მე პირადად, თუმცა ძალიან მომწონს ალი, რამდენიმე დოლარი რატომღაც ჯო ფრეზიერზე დავდე...

მოკლედ თვით ბრძოლის შესახებ: პირველი ორი რაუნდი მუჰამედ ალის ფეხებით „მუშაობისა" და შესანიშნავი ტექნიკის დემონსტრირება იყო. ალი ცეკვავდა, უკან-უკან იხევდა, მაგრამ განსაკუთრებით მარცხენა ხელის დარტყმით აგროვებდა ქულებს. ფრეზიერის იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. მესამე რაუნდში ფრეზიერი რამდენიმეჯერ მისწვდა ალის, ხოლო მეოთხე რაუნდი აშკარა საყაიმო იყო. ასევე მშვიდად ჩაიარა მეხუთე რაუნდმაც. ფრეზიერი გამუდმებით ცდილობდა იერიშის წამოწყებას, მაგრამ ხან უმართლებდა, ხან — არა, ალი ისევ უკან იხევდა, თან ქულებს აგროვებდა. მეექვსე რაუნდში მან კიდევ ერთხელ გამოავლინა დახვეწილი ტექნიკა. კაცს ეგონებოდა, ცეკვავსო. ამავე დროს, იგი მიუწვდომელი იყო მოწინააღმდეგისთვის.

მეშვიდე და მერვე რაუნდებში ალიმ მძიმე წუთები გადაიტანა, ფრეზიერში ალბათ თავმოყვარეობამ და ამპარტავნობამ გაიღვიძა. იგი იერიშზე გადავიდა. ალი თავს იცავდა, უკან იხევდა, დროდადრო ზღართვით იკუმშებოდა, თუმცა მოწინააღმდეგის ყოველ დარტყმას და მოძრაობას აკონტროლებდა. ამის მიუხედავად, მერვე რაუნდის მიწურულს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა დამთავრდებოდა, თანაც, ალის ნოკაუტით. ფრეზიერმა იგი ბაგირს მიაჭყლიტა და ორივე ხელით დაუწყო ცემა. მაგრამ ამ დროს საქმეში მსაჯი ჩაერია და შეაჩერა ბრძოლა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრეზიერი წარამარა იგონებდა ამ მომენტს და უმოწყალოდ ლანძღავდა არბიტრს ტონი პერესს.

თუ რაოდენ შესანიშნავი მოკრივეა მუჰამედ ალი, გამოჩნდა ბოლო სამ რაუნდში. იმის მიუხედავად, რომ გადაღლილი იყო ფრეზიერის იერიშებით, ალიმ შეძლო ძალის მოკრება, რამდენიმე უძლიერესი დარტყმა მიაყენა ფრეზიერს, რის გამოც ამ უკანასკნელის სახემ საგრძნობი დეფორმაცია განიცადა.

შეხვედრის შემდეგ ფრეზიერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლახან გამოვიდა კბილის ექიმის კაბინეტიდან, სადაც გამაყუჩებელი ინექციის დიდი დოზა გაუკეთესო.

უდავო იყო, შეხვედრა ალიმ მოიგო...

საინტერესო სატელევიზიო გადაცემები ნახეს ამერიკელებმა იანვრის თვეში. ორი კვირის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, სადგური „აბც" გადასცემდა მძიმე წონის მოკრივეთა საინტერესო შეხვედრების საუკეთესო ფრაგმენტებს. მე შესაძლებლობა მქონდა რამდენიმეჯერ მენახა ალი რინგზე, მაშინდელი ალიც კი, როცა იგი კასიუს კლეი გახლდათ.

ალი ყოველ შეხვედრაში ერთნაირია. შეუმჩნევლად გადის მოწინააღმდეგის დარტყმების ხაზიდან, შესანიშნავად მუშაობს ფეხებით. თვით ალიმ განაცხადა: რინგზე ისე ვგრძნობ თავს, თითქოს სამეჯლისო დარბაზში ვიყოო. მას მეტოქის გამასხარავებაც უყვარს ხანდახან, როცა ხელებს გამომწვევად დაუშვებს და თითქოს იერიშის სრულ შესაძლებლობას იძლევა. მისთვის დარტყმის მიყენება ძალიან ძნელია, ვინაიდან ამ დროს თვითონ ალი საოცრად ზუსტ კონტროლს უწევს მოწინააღმდეგის მოძრაობებს.

კრივის სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ ტელეგადაცემებში კომენტარს უკეთებდნენ მათ, შეეცადნენ ყველა დროის საუკეთესო ხუთეული შეედგინათ. აი, ისიც: 1. ჯო ლუისი, 2. როკი მარჩიანო, 3. მუჰამედ ალი, 4. ჯო ფრეზიერი, 5. ჯეკ დემპსი. მაგრამ სად არის ფორმენი? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს სპეციალისტები და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „დიდი" ჯორჯის „დიდ" ხუთეულში შეყვანა ნაადრევიაო.

რას ფიქრობს ამის თაობაზე თვით ფორმენი? ალის ნათესავ პამელა კლეისთან ერთად იგი, რა თქმა უნდა, ესწრებოდა ალი — ფრეზიერის შეხვედრას და ორივე მოკრივის მოქმედება მასში მხოლოდ ღიმილს იწვევდა. ამჟამად ჯორჯი დარწმუნებულია თავის თავში ისე, როგორც არასდროს. ფორმენი ამბობს, მსოფლიო ჩემპიონობის მაძიებელ ოთხეულში შემავალი მოკრივეები — მუჰამედ ალი, ჯო ფრეზიერი, კენ ნორტონი და ჯერი ქვორი თანაბარი ძალისანი არიან და დიდად როდი განსხვავდებიან ერთმანეთისგანო, რაც მთავარია, ჩემთვის არც ერთი არ წარმოადგენს საფრთხესო. ერთადერთ ღირსეულ მოწინააღმდეგედ ფორმენს მიაჩნია ახალგაზრდა ამერიკელი მოკრივე კოლორადოს შტატიდან რონ ლაილი, რომელიც პრეტენდენტთა ათეულში მეხუთე ნომრადაა შეყვანილი. რონი მართლაც კარგი მოკრივეა. როგორც მოყვარულმა, მან 29 ბრძოლა ჩაატარა, როგორც პროფესიონალმა — 28, და დღემდე არავის უნახავს რინგზე ჩაჩოქილიც კი. როგორც პროფესიონალმა, მან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო, ისიც კარიერის დასაწყისში, ხოლო ერთი ფრედ დაამთავრა. 19 შეხვედრა ნოკაუტით აქვს მოგებული. რონი ფიზიკურად ძლიერია, ხოლო ტექნიკური არსენალი საკმაოდ მრავალფეროვანი აქვს. ფლობს ძლიერ დარტყმას.

ასე რომ, ყურადღება გაამახვილეთ მეხუთე ნომერზე — რონ ლაილზე!

პრეტენდენტთა ათეულში დანარჩენი ადგილები ასე ნაწილდება: 6. ჯორჯ ჩუვალო (კანადა), 7. ერნი შეივერსი (აშშ, ოჰაიოს შტატი), 8. ჯიმ ელისი (აშშ, კენტუკის შტატი), 9. ჯო ბაგნერი (ინგლისი). 10. ოსკარ ბონავენა (არგენტინა).

ცნობილია, რომ ფრეზიერის სენსაციური განადგურების შემდეგ ფორმენს პრაქტიკულად არც ერთხელ არ დაუცავს ჩემპიონის ტიტული. სათვალავში ჩასაგდები არ არის ბრძოლა-პაროდია ფორმენი — ჯო რომანი (პუერტო-რიკო), რომელიც რამდენიმე თვის წინათ ტოკიოში ჩატარდა და მეორე რაუნდშივე რომანის საშინელი ნოკაუტით დამთავრდა. გავრცელდა ხმები, რომ ფორმენს პასიურობისთვის შეიძლება ჩემპიონის ტიტული ჩამოართვანო. მაგრამ ხმები ხმებად დარჩა და...

26 მარტს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ფორმენი დაიცავს ჩემპიონის ტიტულს კენ ნორტონთან ბრძოლაში. მაგრამ რატომ მაინცდამაინც კარაკასში? იმიტომ, რომ სწორედ აქ აქვთ მოკრივეებსა და იმპრესარიოებს საუკეთესო ფინანსური პირობები. აქ ნაგულისხმევია სარფიანი გადასახადი. ფორმენი მიიღებს 800.000 დოლარს (გადასახადი — 40 პროცენტი), ნორტონი კი — 250.000 დოლარს (გადასახადი — 20 პროცენტი).

ფორმენი, როგორც ყოველთვის, თავის ძალაში ღრმადაა დარწმუნებული, თუმცა იმდენს არ ტრაბახობს, რამდენსაც თავის დროზე კასიუს კლეი. კენ ნორტონმა იცის, ვისთანაც უწევს ბრძოლა და ამიტომ გაორმაგებული ტემპით ვარჯიშობს. კენის შანსები ჯერჯერობით აშკარად დაბალია. ამ შანსების გათანაბრებას იგი შეძლებს მხოლოდ შეხვედრის მსვლელობაში. მანამდე კი პროგნოზებით პირველ პლანზე ფორმენი დგას...

დასასრულს, მცირეოდენი ცნობები ალისა და ფრეზიერის გეგმების შესახებ. ფრეზიერს ამჟამად არა აქვს დაზუსტებული მომავლის გეგმა, თუმცა უკვე ლაპარაკობენ მუჰამედ ალისთან მის მესამე შეხვედრაზე. თვით მუჰამედ ალი კი, რომელმაც ფრეზიერთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, ფორმენი მხოლოდ მსაჯების წყალობითაა მსოფლიო ჩემპიონიო, ამჟამად ჯერი ქვორისთან შეხვედრაზე ფიქრობს. როგორც პროფესიული კრივის „ბირჟა" არაოფიციალურად იუწყება, ეს შეხვედრა ივნის-ივლისის მიჯნაზე უნდა გაიმართოს. „ამ ბრძოლას თუ მოვიგებ, — განაცხადა ალიმ ერთ-ერთ ინტერვიუში, — აღარაფერი შემიშლის ხელს, რომ ფორმენთან შეხვედრაში დავიბრუნო ჩემპიონის ტიტული, რომელიც ერთხელ უკვე იყო ჩემი საკუთრება".

მაგრამ ვფიქრობ, რომ პირველი ზღუდე და ისიც საკმაოდ რთული გადასალახავი იქნება სწორედ... ჯორჯ ფორმენი.

და კიდევ იცით, რას ვფიქრობ? — რა მოხდება, 26 მარტს ნორტონმა რომ გაიმარჯვოს? მერწმუნეთ, ყველაფერი თავდაყირა დადგება.

ИЕЖИ КРУПИАРЖИ.

პოლონური გაზეთი „სპორტი" (კატოვიცე).

თარგმნა მანანა კიკნაძემ.

• • •

სურათზე: კ. ნორტონი (მარცხნივ) და ჯ. ფორმენი.

---

### დარტყმაც ამას ჰქვია!

მილანის მცხოვრები რობერტო პაოლინი „ინტერნაციონალეს" თავდადებული გულშემატკივარია. ერთხელ, როცა რადიოთი გადმოსცეს, რომ მისი საყვარელი გუნდის მოთამაშემ გოლი გაიტანა, გამოუსწორებელმა ტიფოზიმ სიხარულისგან მეორე სართულიდან ეზოში ისკუპა. პაოლინის ბუნება ფეხის მოტეხამაც კი ვერ გაუფუჭა. და მხოლოდ მაშინ, როცა საკაცეზე აწვენდნენ, ტიფოზიმ გაიგო, რომ მისი რჩეული გუნდის ფეხბურთელს გოლი საკუთარ კარში გაუტანა, — გვაუწყებს გაზეთი „იუმანიტე".

### ქაირზინიოს ჩივის...

ბრაზილიის ნაკრებისა და კლუბ „მოტაფოგოს" საუკეთესო თავდამსხმელმა ქაირზინიომ სასამართლოში უჩივლა ამ კლუბის ხელმძღვანელებს.

საქმე ისაა, რომ „მოტაფოგოს" მესვეურებმა საჯაროდ განაცხადეს, თითქოს ქაირზინიო მანეკენი ქალებით უფრო დაინტერესებული, ვიდრე ფეხბურთით. მეკარეთა რისხვა ამ შეურაცხყოფით მიყენებულ მორალურ ზარალს 1 მილიონ კრუზეიროდ აფასებს.

ქაირზინიომ განაცხადა, აწიერიდან „მოტაფოგოში" აღარ გამოვალო. მაგრამ მას გადაწყვეტილი აქვს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღოს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, „რათა „მოტაფოგოს" სულელ ხელმძღვანელებს უჩვენოს, რომ ფეხბურთში ისინი უფრო ნაკლებად ერკვევიან, ვიდრე მანეკენი ქალები".

### „სიკვდილმისჯილთა" შორის...

ბრაზილიის უდიდესმა სადაზღვევო კომპანიამ გამოაქვეყნა ხუთი „დესტერადოს", ესე იგი ხუთი ყველაზე სახიფათო პროფესიის სია. ამ ხუთ პროფესიას ყველაზე მამაცი, თავზე ხელაღებული ხალხი სჭირდება. ესენი არიან ამფეთქებლები, ფეიერვერკის მომწყობნი, მფრინავ-გამომცდელები, ვეფხვების მომთვინიერებლები და... ფეხბურთელთა მატჩების მსაჯები.

---

## პირველი გამოცდა

ტანვარჯიშის ბევრი სახელოვანი ოსტატისთვის გაზეთ „მოსკოუ ნიუსის" პრიზზე დიდი საერთაშორისო შეჯიბრება წლევანდელ სეზონში პირველი გამოცდა იქნება. ამ საინტერესო ასპარეზობამ გუშინ აიღო სტარტი მოსკოვში და დღეს დამთავრდება.

საკავშირო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების გამგემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ტიტოვმა პარასკევს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ სსრ კავშირის დედაქალაქში სასპარეზოდ უკვე ჩამოვიდა ალჟირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, კანადის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის 70-ზე მეტი ტანმოვარჯიშე. მან თქვა, სპორტსმენთა ჩამოსვლას დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდანაც ველითო.

სპორტსმენები პირად ტურნირში გამოვლენ ნებისმიერი პროგრამით. ისინი ჯერ მრავალჭიდში იასპარეზებენ, მერე კი ცალკეულ იარაღებზე მედლებისთვის შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ტანვარჯიშის მოყვარულები იხილავენ ოლიმპიურ ჩემპიონებს: ვ. კლიმენკოს, ე. საადის (ორივე — სსრ კავშირი), ე. კენმოცუს, მ. ცუკაჰარას (ორივე — იაპონია), ცნობილ ოსტატებს ვ. ტიუნეს (გდრ), ჯ. კროსბის (აშშ) და სხვ.

26-28 მარტს მოსკოვის ფიცარნაგზე გამოსულთა უმეტესობა რიგაში იასპარეზებს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ლატვიის დედაქალაქში საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა რიგებში ოლიმპიურ ჩემპიონ ნ. ანდრიანოვსაც ვიხილავთ.

---

## დედამიწა ზანზარებს

როცა სპილოები გაშლილ ველზე ნავარდით მიქრიან, დედამიწა თითქოს ზანზარებს მძიმე, თანაბარი თქარათქურისგან. ერთი შეხედვით უწყინარი, ზანტი გოლიათები დოღის დროს თითქოს ხელახლა იბადებიან. ათასობით მაყურებელი ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებს თავის ჟოკეებს შეჯიბრების დროს, რომელიც დიდად პოპულარულია ტაილანდში. ხალხს იზიდავს გულმოდგინედ გაწვრთნილი პირუტყვების ქროლვა და მხედრების ოსტატობა.

ფოტო ჟურნალ „უიკენდიდან" (ინგლისი).



---

## 19 45

◆ ლონგ-ბიჩი, 23 მარტი. 9:1 — ასეთი ანგარიშით მოუგეს თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა კალიფორნიის ამ ქალაქში გამართული ამხანაგური მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს. მასპინძლებმა ერთადერთი ქულა მჩატე წონაში მოიპოვეს, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. დმიტრიევმა (მოსკოვი) ტრავმის გამო ხალიჩაზე გამოსვლა ვერ შეძლო.

◆ ვარშავა, 23 მარტი. „საბჭოთა ესპადრონისტების გადამწყვეტი უპირატესობა", „დამაჯერებელი გამარჯვება", — ასე ერთსულოვნად აფასებს პოლონური პრესა სსრ კავშირის მოფარიკავეთა ნაკრების წარმატებას საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში „ვოლოდიევსკის ხმლის" პრიზზე. გამარჯვებულმა საბჭოთა გუნდმა ბოლო მატჩში ანგარიშით 11:5 სძლია უნგრეთის ნაკრებს. 4 გამარჯვება მოიპოვა ნაზლიმოვმა, 3 — სიდიაკმა, 2-2 — ვინოკუროვმა და ბაჟენოვმა. II ადგილზე გავიდა უნგრეთის გუნდი, III — პოლონეთის პირველი ნაკრები. ზემოაღნიშნული გუნდების გარდა ადგილობრივ დარბაზში „გვარდია XX" ასპარეზობდნენ ბულგარეთის, იტალიის, გფრ-ის ესპადრონისტები, აგრეთვე, პოლონეთის მეორე ნაკრები.

---

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04525